მოგესალმებით.

გავეცანი ჩემს წინააღმდეგ შემოტანილ წერილს, და გიგზავნით საპასუხო წერილს, სადაც რამდენიმე პუნქტში პასუხს გავცემ ე.წ. საჩივრის არსს:

1 - ქ-ნ ანა აფციაურის წერილში ვკითხულობთ, რომ ის მე ბრალს მდებს, ე.წ არასენსიტიურ დამოკიდებულებაში ოჯახში ძალადობის მიმართ.

გაუგებარი და არასერიოზულია ეს „ბრალდება“. დასაბუთების გარეშე მე მას სერიოზულად ვერ განვიხილავ. არგუმენტირებულად უნდა იყოს წერილში წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს არასენსიტიურობა.

მე, როგორც ჟურნალისტმა შევასრულე ჩემი უპირველესი მოვალეობა, გავაშუქე ფაქტი - სპორტსმენის გამარჯვება, გამარჯვების ირგვლივ მომხდარი საზოგადოებრივი რეაქცია და ყველა ის ფაქტი, რაც საყოველთაოდ აღიარებულია. ყოველი მათგანის დასახელება კი მოხდა ყოველგვარი გადახრის და პირადი დამოკიდებულების გამომჟღავნების გარეშე.

2 - შემდეგ მოთხოვნაში წაყენებული იყო პრეტენზია ჟურნალისტის, ამ შემთხვევაში ჩემი ქცევის მიმართ, რათა მომჩივან მხარეს ჰქონდა სურვილი, მე მქონოდა მცდელობა რომ ეს საკითხი არ წარმომეჩინა ორი მხარის დაპირისპირებად.

ამ ნაწილშიც არასერიოზული და არაარგუმენტირებულია „ბრალდება“. რადგან - ნიკოლოზ ბასილაშვილის გამარჯვების შემდეგ, სოციალურ ქსელში განვითარებული ამბავი, საზოგადოების გამოხმაურება, ცალსახად იყო საზოგადოებრივი აზრის ორად გახლეჩვა, ანუ ორი მხარის წარმოშობა და მათი დაპირისპირება. ეს არის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი და მე მხოლოდ მისი კონსტატაცია მოვახდინე.

გადაცემის დაწყებისას, ჩემი შესავალი ტექსტი ემსახურებოდა მხოლოდ ფაქტების მობილიზებას, წარმოჩენას და შემდეგ უკვე ადვოკატისთვის დროის დათმობას, რათა ადვოკატს თავისი სათქმელი ეთქვა. რაც შეეხება, ადვოკატების ბალანსს, ორ მხარეს შორის, გადაცემა „იმედის დღემ“ ამ შემთხვევაში დაიცვა სრული ბალანსი, თითო სამუშაო დღეს, თითო საეთერო დრო, თანაბარი ხანგრძლვობით დაუთმო ორივე მხარეს, რათა მათ თანაბარ პირობებში ჰქონოდათ საშუალება საკუთარი სათქმელი ღიად დაეფიქსირებინათ პირდაპირ ეთერში.

შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, მეორე პუნქტშიც დაუსაბუთებელია თუ რაში მადანაშაულებს ქ-ნი აფციაური.

3 - დავა ფრაზაზე - „წარუმატებელი პერიოდი ბასილაშვილის ცხოვრებაში“ - ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, ოჯახში არსებული განხეთქილება, დაპირისპირება და სასამართლო დავა ოჯახის წევრთან, ეს არის წარუმატებელი ეპიზოდი. ორივე შემთხვევაში - თუ ბასილაშვილი დამნაშავეა და თუ ბასილაშვილს ცილს სწამებენ დანაშაულში - ორივე არსებით შემთხვევაში, ეს პერიოდი მის, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაში წარუმატებელი პერიოდია.

რაც შეეხება ჩემი სამეტყველო სიტყვების და ლექსიკის შეფასებას - იმ ეპოქაში, სადაც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას პატივს ვცემთ, არამგონია ადამიანებს უფლება ჰქონდეთ სხვა ადამიანების სამეტყველო სიტყვებზე შეზღუდვა დააწესონ, მით უფრო, როდესაც ჟურნალისტის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სხვა ადამიანს არ აყენებს ზიანს და ყოველი სიტყვა ობიექტურ რეალობაზე მეტყველებს.

საერთო ჯამში, გამიჩნდა შთაბეჭდილება რომ „ბრალმდებელ“ მხარეს ჰქონდა სურვილი მე სუბიექტურად განმეხილა ბასილაშვილის საქმე და ჩემი პირადი დამოკიდებულება ყოფილიყო სპორტსმენის წინააღმდეგ მიმართული, რაც ჟურნალისტისთვის პროფესიული დანაშაულია.

მაშინ, როდესაც მე პროფესიულ საქმიანობას ვასრულებ და პირდაპირ ეთერში გადავცემ ინფორმაციას, არ მაქვს უფლება ჩემი პირადი განწყობით და დამოკიდებულებით გავჟღინთო ჩემი საუბარი (რა დამოკიდებულებაც არ უნდა მქონდეს არსებული საქმის მიმართ..) ჩემი მოვალეობაა, მშრალად წარვუდგინო საზოგადოებას ფაქტები - ის რაც არის, და დავსვა შეკითხვები.

ამ მოცემულობაში, როდესაც ჯერ სასამართლოს დასკვნა არ ვიცით და საქმე პროცესშია, მე ვარ ვალდებული დავიცვა ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმცია. არ მაქვს უფლება ჩემი განწყობის მიხედვით ვისაუბრო სუბიექტურად და ადამიანს ცილი დავწამო. საპირისპიროდ რომ შევაბრუნოთ სიტუაცია, თუ მე სუბიექტური განწყობით წარვმართავდი გადაცემას, ასეთ დროს ბასილაშვილის მხარეს თავისუფლად შეეძლო სარჩელი შეეტანა ჩემს წინააღმდეგ, ცილისწამების მუხლით. მე კი როგორც ჟურნალისტი, ვარ ტელევიზიის სახე, წარმომადგენელი და მაქვს პასუხისმგებლობების მთელი ჯაჭვი - ცილისწამების ბრალდებისთვის ტელევიზიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, შესაძლოა მე დამეკისროს ზიანის ანაზღაურება და ა.შ. მაშინ, როდესაც ამ თემაზე არსებული დავა პროცესშია და სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ არსებობს, ჟურნალისტს არ აქვს უფლება პირადი განწყობების მიხედვით ისაუბროს და ფაქტების წარმოდგენიდან გადახვევები გააკეთოს.

საერთო ჯამში, საჩივრის წერილში ჩამოთვლილი სამივე „ბრალდება“ - არასენსიტიურობა, საზოგადოების ორი მხარის წარმოჩენა, ბასილაშვილის ცხოვრების წარუმატებელი პერიოდი - სამივე საკითხზე დავა უსაფუძვლო და არაარგუმენტირებულად მიმაჩნია. სამივე ნაწილში ჩემი მხრიდან ადგილი ჰქონდა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების გამოცხადებას - ბასილაშვილის გამარჯვებას ტურნირზე, საზოგადოების გახლეჩვას სოციალურ ქსელში, ბასილაშვილის, როგორც ადამიანის წარუმატებელ პერიოდს პირად ცხოვრებაში.

მე თავს უფლებას ვერ მივცემ ობიექტურ ფაქტებს გადავუხვიო, გამოვხატო სუბიექტური მოსაზრებები, ტელეკომპანია დავაყენო სამართლებრივი და ფინანსური რისკის ქვეშ და საფრთხე შევუქმნა ჩემს პირად პროფესიულ ავტორიტეტს.

აქვე დავამატებ, რომ ეს კონკრეტული გადაცემა ეძღვნებოდა კონკრეტულ თემას - ბასილაშვილის გამარჯვებას, მის რეზონანსს და ამ რეზონანსისი შესახებ მისი ადვოკატის განცხადებას. ამ თემას საუბარი არ გასცდენია და ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის თემას არ შევხებივართ. შესაბამისად, თემის განვრცობას ადგილი არ ჰქონია და არ მომიხდენია ქალთა მიმართ ძალადობის თემის ნიველირება.

გმადლობთ, ყურადღებისთვის.

პატივისცემით მარიამ ბაკურაძე.

11.06.2021